ხონი

2021 წელი
26
თებერვალი
პარასკევი
№2 (7523)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

მიმდინარეობს რეკრუტირების პროცესი

ხონის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **გერასიმე მჟავანაძემ** თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის რეკრუტირების სამსახურის იმერეთის ცენტრის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

თავდაცვის ძალების პოპულარიზაციის მიზნით რეკრუტირების პროცესი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარეობს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯარისკაცები (რეკრუტერები) მოსახლეობას სამხედრო საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის შესახებ გაესაუბრნენ და თავდაცვის ძალებში დასაქმების მსურველებს ინფორმაცია კონტრაქტის პირობებზე, ანაზღაურებაზე, სოციალური დაცვის გარანტიებსა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობებზე მიაწოდეს, უპასუხეს დასმულ შეკითხვებს.

გაიმართა შეხვედრა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა **ზვიად შალამბერიძემ** მუნიციპალიტეტების მერებთან ონლაინ შეხვედრა გამართა. მხარეებმა საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში დროებით ლეგალურად დასაქმებაზე ისაუბრეს. გერმანიის შრომის ბაზარზე, საქართველოს მოქალაქეებს დროებითი ლეგალური დასაქმება 3 თვით შეეძლებათ.

ზვიად შალამბერიძემ მერებს დეტალურად განუმარტა ის პროცედურები, თუ როგორ მოხდება სოფლის მეურნეობის სექტორში საქართველოს მოქალაქეების დასაქმება და რა პროცედურები უნდა გაიაროს დაინტერესებულმა პირმა.

„აღიშნული შესაძლებლობა არის უდიდესი პროგრესი ქვეყნებს შორის შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის კუთხით, რომელიც სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას შექმნის ორ ქვეყანას შორის შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობისათვის - განაცხადა ზვიად შალამბერიძე.

საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და გერმანიის დასაქმების ფედერალურ სააგენტოს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, 2021 წლის აპრილის თვიდან შესაძლებელია გერმანიაში, სოფლის მეურნეობის სფეროში სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმება.

შეთანხმების ფარგლებში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები, გერმანული მხარის მიერ უზრუნველყოფილი იქნებიან უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო გარემოთი (მათ შორის კოვიდ-19 ის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ყველა ნორმისა და გერმანიაში მოქმედი შრომითი უფლებების გათვალისწინებით).

სეზონური სამუშაოები გერმანიაში 1 აპრილიდან დაიწყება. რეგისტრაციის გაევლა უკვე შესაძლებელია და მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

სამუშაოს მაძიებელი პირველად რეგისტრაციას სპეციალურ სარეგისტრაციო პორტალზე : http://workabroad.moh.gov.ge/ გადის.

აგროძულების გამოყენებას ფერმერები 20 მაისამდე შეძლებენ

სოფლის განვითარების სააგენტო

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადა 2021 წლის 20 მაისია. 1 ჰექტარ მიწაზე სუბსიდიის ოდენობა 200 ლარს (აგრობარათზე დარიცხულ 200 ქულას) შეადგენს. აგრობარათზე დარიცხული ქულებით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენა სპეციალიზებულ მაღაზიებში.

მიმდინარე წლის 20 თებერვალს დასრულდება პროგრამის ბენეფიციარებისათვის აგროქულების დარიცხვა. იმ ბენეფიციარებს, რომელთაც ჯერ არ აუღიათ აგრობარათი, ასევე მათ, ვინც მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია ან დაზუსტება 2020 წლის 31 დეკემბრამდე მოახდინეს, ბარათების მიღებას მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე შეძლებენ.

აგრობარათის მისაღებად, ლიბერთი ბანკის ფილიალში ვიზიტამდე, დარიცხული ქულების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებპორტალზე www.myliberty.ge.

სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამაში უკვე 246,000 ფერმერია ჩართული, დარიცხული სუბსიდიის ოდენობა 32 მლნ ლარს აჭარბებს.

მასწავლებელთა ტესტირების პროცესი გრძელდება...

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო და კერძო სკოლებში, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სავალდებულო სისტემური ტესტირება აქტიურად მიმდინარეობს. მასწავლებელთა ტესტირების პროცესს სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს. როგორც ცნობილია, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ქვეყნის მასშტაბით ყველა სკოლის მასწავლებლისა და ადმინისტრაციული პერსონალის მინიმუმ 20%-ს სავალდებულო სისტემური PCR ტესტირება 2 კვირაში ერთხელ , ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული პროტოკოლის საფუძველზე ტარდება, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები სწრაფი ტესტით მოწმდებიან. სავალდებულო ტესტირების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ადმინისტრაციის მიერ სკოლაში დასაქმებული ყველა პირი დარეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში და სამედიცინო ლაბორატორიების მიერ პერსონალის ტესტირების პროცესი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ჩართულობით მიმდინარეობს.

მთელ ქვეყანაში, და მათ შორის ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში 24 საათიანი მუშაობაა, სადაც გულისხმიერი, თავისი საქმის პროფესიონალები დაულალავად, მთელი პასუხისმგებლობით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. **ხონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ქალბატონი ლელა გოფოძე თავის კოლეგებთან ერთად- ეპიდემიოლოგი: ქ-ნი ია კოხრეიძე; ეპიდემიოლოგი ქ-ნი ლელა უგულავა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ექიმი, ბ-ნი კახა კობეშავიძე, კოვიდ ტესტირების ამღები ლაბორანტები: ქ-ნები ნატაშა ავალიანი, თამილა წულაია, ეთერ დანგაძე; ეპიდკვლევაში მონაწილე თანამშრომლები ქალბატონები — ირმა ჯაჯაია, ლალი მაისეია, ეკა ქაშიბაძე, მერი ჩიხლაძე** 24 საათის განმავლობაში ნებისმიერ ჩვენს შეკითხვასა თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ამომწურავ პასუხსა თუ გადაუდებელ დახმარებას უწევენ. პედაგოგთა სახელით მინდა მადლობა ვუთხრა მათ ასეთ რთულ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში თავდადებული შრომისა და ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგომისთვის!

ლია ჩიხლაძე

უწყვეტი წყალმომარაგებისათვის

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში სვანებისა და ფრანგების უბანში წყლის სისტემის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს.

სამუშაოები ადგილობრივი მაცხოვრებლების უწყვეტი წყალმომარაგებისთვის ახალი სისტემების მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სათავე ნაგებობის, ორი ჭაბურღილისა და საქლორატორის მოწყობა. სოფელში წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა წლებია არ არსებობს. ადგილობრივები წყალს ეზოში არსებული ჭებიდან იღებენ. ზაფხულის პერიოდში, წყალმცირობის დროს, ჭაში არსებული წყლის დებიტი კლებულობს და წყალმომარაგების კუთხით მოსახლეობას პრობლემები ექმნება.

სამუშაოების ღირებულება 2379996 ლარია. პროექტი აპრილში დასრულდება და 250-მდე ოჯახი უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

შესანიშნავი მეგობარი, ჭეშმარიტი ქართველი...

გოგი კვარაცხელია 70 წლისა გახდებოდა

მარადიულ სასუფეველში ნაადრევად დამკვიდრებულ ერთ სამაგალითო ხონელს, ჩვენს მეგობარსა და საიმედო დასაყრდენს **გოგი (ჭანჭურა) კვარაცხელიას** ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდებოდა, რომ არა... გოგი 2014 წლის ზაფხულში გარდაიცვალა და დიდი ტკივილი დაგვიტოვა სამეგობროს. გოგი მხოლოდ მის ოჯახსა და ახლობლებს არ დაკლებია, არამედ თითოეულ ხონელს დაწყვიტა გული, როგორც კოლორიტმა პიროვნებამ, ახოვანმა ვაჟკაცმა, კარგმა სპორტსმენმა და სახელოვანი მშობლების საამაყო შვილმა, საუკეთესო ქალიშვილების ძვირფასმა მამამ და არაჩვეულებრივმა მეუღლემ...

არ გვინდოდა მოკლედ გვეთქვა მისი ხსოვნისა და გადავწყვიტეთ ბავშვობისა და ჭაბუკობის ულამაზესი მოგონებები მკითხველისათვის გაგვემხილა და კიდევ ერთხელ მიგვეგო პატივი ამ შესანიშნავი კაცისათვის. ამიტომ მის საფლავთან შეკრებილებმა ბევრი ეპიზოდი გავიხსენეთ და ამით გვსურს ახალგაზრდებს გავაცნოთ და მის თანამედროვეებს შევახსენოთ ვინ იყო ჩვენი ჭანჭურა და რა გზა განელო დიდებულ, ჭეშმარიტად ქართულ ოჯახში აღზრდილმა ბიჭმა...

ოჯახი, სადაც გოგი გაიზარდა, ხონისათვის ნამდვილად საამაყო იყო. მისი მშობლები, ბებია- ბაბუები, წინაპრები ინტელიგენტები იყვნენ, სულ სხვა გამორჩეული პიროვნული თვისებებითა და შეხედულებებით. ამიტომ გასაკვირი არ იყო გოგის იმთავითვე დახვეწილი ქცევები, ჩვევები. ჩვენი მეგობარი 1 იანვარს იყო დაბადებული და ხომ წარმოგიდგენიათ როგორი ზეიმი იქნებოდა ყოველი დაბადების დღე მისთვისა და ჩვენთვის. ამას ემატებოდა უსათნოესი ციცი დეიდას მოსიყვარულე, თბილი გული, ტკბილი სუფრა და მურმან ბიძიას ტრადიციული სტუმართმოყვარეობა. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გოგისთან ყველას მიგვეჩქარებოდა. მის სახელოვან ოჯახში გატარებული ყოველი წუთი იყო გაჟღენთილი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, კაცთმოყვარეობით, სამართლიანობით, პრინციპულობით,...კაცობით. იქ გაშლილი სუფრა, დიდებული სადღეგრძელოები მართლაც აკადემია გახლდათ...

... მე ნილად მხვდა ბედნიერება, საბავშვო ბაღის, საშუალო სკოლისა და სტუდენტობის დაუვიწყარი, განუმეორებელი, სამახსოვრო წლები გოგისთან ერთად გამეცლო და დღეს... დღეს, სამწუხაროდ, მასთან განშორება ადამიანურ სევდად ქცეულა და გული მტკივა, რომ ჩვენმა მეგობარმა ნაადრევად დაგვტოვა. წავიდა და თან წაიღო სამეგობროს გულის დიდი ნაწილი, მის გარეშე ჩვენი შეხვედრები გაუფერულდა, ყველანი ვგრძნობთ როგორ გვაკლია ჩვენი გოგის ულამაზესი ღიმილი, მოხდენილობა, პენი და სიტყვა-პასუხი. მაგრამ რას ვიზამთ...უფლის ხელთაა ჩვენი სიცოცხლე!

გვახსენდება ჩვენი ბავშვობა და ღიმილით ვიგონებთ მოუსვენარ, ცელქ ჭანჭურას, ასევე, ჩემს უმცროს ძმას ან**გარდაცვლილ თაზო მებუკეს**(იგი ორი წლით უმცროსი იყო ჩვენზე), რომელთა „სანიმუშო ყოფაქცევისათვის" ხშირად მე (როგორც წარჩინებული მოსწავლე-კომკავშირელი) ვიყავი დასჯილი... პარადოქსი კი ის იყო, რომ გოგი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ფიზ. აღზრდის პედაგოგის დიპლომით მშობლიურ სკოლაში მე-2 სკოლის მაშინდელ **დირექტორს ქ-ნ სონია ქუთათელაძეს** გამოეცხადა. ეს იყო შოკი! მაგრამ სულ მალე სკოლაში კი არა, ხონში გოგი ერთ-ერთი სანაქებო , წარმატებული პედაგოგი გახდა. იგი ძალიან უყვარდა მოსწავლეებსაც. თუმცა, ის კურიოზები, რომლის ავტორი გოგი იყო, არ ავიწყდებოდა არავის. ერთს გავიხსენებ მხოლოდ - კლასელები **როლანდ ბარაბაძე, გენადი ფარცხალაძე, ავთო მესხი, ბადრი ლეთოდიანი** და სხვები სანაძლეოს დებენ, ვინ გადახტება ფანჯრიდან. უცებ გოგი მოვარდა, გამოაღო ფანჯარა და გადახტა. ღვთის მადლით ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა გოგისათვის, სკოლის ფანჯრები კი ლურსმნებით ჩაჭედეს... ასეთი იყო გოგი - მოულოდნელობითა და გასაოცარი მოხერხებულობით გამორჩეული. არასოდეს ბოროტებით მას არაფერი ჩაუდენია! არასოდეს არავინ „ჩაუშვია" და არც არასოდეს უარყვია მის მიერ ჩადენილი „დანაშაული", პირიქით, შეიძლება ორგანიზატორი სხვა ყოფილიყო და გოგის ყველაფერი თავის თავზე აეღო...

და გოგი იყო მთელი არსებით ბრწყინვალე ფეხბურთელი. მას გაუმართლა, რომ მაშინდელი თბილისის „დინამოს" სახელოვანმა მწვრთნელმა **ნოდარ ახალკაცმა** ჯერ კიდევ სტუდენტი გოგი კვარაცხელია მიიწვია გუნდში და კარგად მახსოვს, იგი დუბლიორთა შემადგენლობაში ათამაშა **ერევნის „არარატის"** წინააღმდეგ, კონკრეტულად კი დაავალა სტუმართა გუნდის საუკეთესო თავდამსხმელის, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის, **პეტროსიანის** მეურვეობა. გოგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ითამაშა ბრწყინვალედ, ფეხი არ გაანძრევია პეტროსიანს, მაგრამ სამწუხაროდ, მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტრავმა მიიღო და ველარ დაასრულა მეორე ტაიმი. ტრავმის გამო ჭანჭურა გამოეთიშა რამდენიმე მნიშვნელოვან

მატჩს თბილისის „დინამოში". შემდეგ იგი ლანჩხუთის „გურიის" საფეხბურთო კლუბის თავკაცმა **შალვა კაკაბაძემ** აიყვანა და წარმატებებიც ბევრი იყო. მაგრამ იმ ერთხელ მიღებულმა ტრავმამ გოგის საფეხბურთო კარიერა დაასრულა. დასანანია ეს ყველაფერი, თუმცა, თავს ზევით ძალა არ იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში კარგად დაწყებული ფეხბურთის თამაში დასრულდა. თუმცა, ფეხბურთის დიდი **სპეციალისტი კოტე მესხი** აღნიშნავდა, მაშინდელი ფიზკულტურის ინსტიტუტის საფეხბურთო გუნდში, რომელიც გახდა სსრკ ჩემპიონი ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორის, თამაშობდნენ უძლიერესი ხონელი ფეხბურთელები: **გოგი კვარაცხელია, ავთო ახვლედიანი, ბადრი სანოძე, ავთო ანდრიაძე, ზურაბ ჩხეტიანი**...

გოგის ფეხბურთისადმი ტრფიალი მისი ბიძის, ცნობილი **ფეხბურთელის მირიან კვარაცხელიას** დამსახურება იყო. იგი ხონის საფეხბურთო გუნდის ცენტრალური მცველი და უცვლელი კაპიტანი გახლდათ. თითქმის მისი ყველა თამაში გვქონდა ნანახი მე და გოგის. მეგობრებმა გაიხსენეს გოგის ბაბუის ბ-ნი **ძიკი კვარაცხელიას** და მამის **მურმან კვარაცხელიას** თავდადება, ვაჟკაცური საქციელი სტადიონზე თუ გარეთ. ისინი, ორთავე მამა-შვილი წარმოსადეგი, ახოვანი ვაჟკაცები , მეტოქეს პატარა შეცდომასაც არ პატიობდნენ და მარტო თამაშს კი არა, სამართლიანობას, პრინციპულობას და ვაჟკაცობას ასწავლიდნენ ხონელებსაც და მეტოქეებსაც...

გოგი კვარაცხელია სიყვარულის კაცი იყო. საოცარი ჩვილი გული ჰქონდა. მოკრძალებული იყო ქალის მიმართ. მისი იდეალი დედა იყო - ხონის თეატრის მსახიობი, კდემამოსილებითა და ქალური სინაზითა და მშვენიერებით გამორჩეული დიდი ქალბატონი **ციცი ტაბიძე,** რომელმაც სცენაზე ათეული წლები გაატარა და შექმნა დაუვიწყარი სახეები. იგი ბატონი **შალვა ტაბიძის** ოჯახში იყო აღზრდილი. ბ-ნი შალვა ტუბსაავადმყოფოს ხელმძღვანელი იყო. მან პირველმა ჩამოიტანა ხონში რენტგენის აპარატი. ბებია - ქ-ნი **მარგალიტა ტვილდიანი** - ტაბიძე რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად მოღვაწეობდა მეორე საშუალო სკოლაში. მეორე ბებია - შესანიშნავი **ქალბატონი მარიამ თოფურია** მარტვილიდან იყო. ძალიან უყვარდა გოგის მარიამ ბებია და ბაბუა **ძიკი კვარაცხელია** მკაცრი, ცნობილი ვაჟკაცობითა და პრინციპულობით არამარტო სამეგრელოში, ჭეშმარიტად კოლორიტი პიროვნება იყო. ნათელი ამ დიდებული ადამიანების სულებს. ისინი მართლაც რომ სამაგალითონი იყვნენ არამარტო გოგისა და შალვასათვის, არამედ ჩვენთვისაც.

მოგონებებს მოგონებები ცვლიდა, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოპყვებოდა და ემოციისა და დანანების გარეშე ვერ ვახერხებდით გოგიზე წარსულში საუბარს...

ჩვენი მეგობარი, ჩვენი სანიმუშო ვაჟკაცი იქ, დიდ სოფელშიც მისაბაძი იქნება. მისი ადამიანურობა, გულწრფელობა, მიმტევებლობა, ენერგიულობა, კიდევ ბევრი ღირსეული თვისება გადამდები იყო ყოველთვის. გოგი იყო შესანიშნავი მეგობარი, კოლეგა, მასწავლებელი... როცა **გადავწყვიტეთ მე და მურმან ბახტაძემ** ეს პატარა მოგონება ჩვენს მეისტორიე **გაზეთ „ხონში" გამოგვექვეყნებინა, მაია ფეიქრიშვილს** შევეხმიანეთ. მან თბილად და სიყვარულით გაიხსენა გოგი მასწავლებელი და დაბეჭდა მასალა...

დიახ, ყველას უყვარდა და ყველას უხაროდა **გოგი კვარაცხელია.** იგი თითოეული ჩვენგანის გულში ჩვენთან ერთად იცოცხლებს, ეს მოგონებები კი არ მოგვცემს მისი დავიწყების ნებას. ვწუხვართ, რომ ნაადრევად გამოგვაკლდი მეგობარო. ოჯახი დატოვე განადგურებული მწუხარებისგან, არადა შენი უსათნოესი, უმშვენიერესი, უნიჭიერესი **მანანა** როგორ გიყვარდა?! **მანანა ჩხენკელი** ჩვენი საერთო მეგობარი იყო. თქვენი სიყვარული ბავშვობიდან იღებდა სათავეს და ამიტომაც იყო ასე წრფელი. სამი ანგელოზი ქალიშვილი გაგიჩნდათ - **ციცინო, თაკო და ნინო,** თვალხატულა გოგონებზე ბევრს ვხუმრობდით გოგი, შენც და ჩვენც. „კვარაცხელიების მოდგმის შემარცხვენელი შევიქენი, გვარი გადავაჯიშეო" - იტყოდი ღიმილით.

ეჰ, ჩემო ძმაო, რამდენის შესახებ ვისაუბრეთ და კიდევ მეტი დაგვრჩა გასახსენებელი. შენ ისეთი ვაჟკაცი იყავი გოგი, რომ სიკვდილსაც ვაჟკაცურად დახვდი და ზეციურ საქართველოში იმათ შეუერთდი, ვინც ნაადრევად გამოაკლდა ჩვენს სამეგობროს და სამუდამო განსასვენებელი საუფლოში ჰპოვა.

... უფალს ებარებოდეთ ძმეო!

მეგობრების სახელით
ჯემალ მებუკე

მილოცვა
რეზი ბარაბაძეს!

ზამთრის სუსხში დაბადებულს ზაფხულივით თბილი გული და უსაშველოდ კეთილი სული გაქვს ჩვენო რეზი. გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა გაგიმრავლოს სიყვარულით და ბედნიერებით სავსე დღეები. ახალგაზრდა ხელმძღვანელი ყველასათვის დასაყრდენი პიროვნება ხარ და ამიტომაც გაფასებენ თანამშრომლები. გვიყვარხარ და გვეამაყები შენს სამეგობროს.

უფლის მადლი და მისი შემწეობა არ მოგკლებოდეს ღვთის მოვარულსა და მსახურს. სტიქარივით სუფთა გულით დაატარებ უფლის, დედა-ეკლესიის, პატრიარქისა და ჩვენი მეუფის სიყვარულს. გვეიმედები რეზი! იხარე ორსავ სოფელსა შინა. მრავალჟამიერ შენს ქართველობას, დღეგრძელობა და მზეგრძელობა შენს ხონელობას. იხაროს შენმა გამზრდელმა.

სამეგობარო

ნაირა ღეშკაფშელი

პატარა ლილეს

ჩაიდანი ჩუხჩუხებს, დულს ქვაბუნა ფაფით,
მოეკვდი ქალი ამდენი შრომითა და ჯაფით
ჩუმად, ჩუმად, ლილეს ძინავს, არვინ გააღვიძოს,
დედა, მამა, ბებიები ყველა ერთად გძიძობთ!
ვალებს ნამი შერჩენია და ბაგეზე ღიმი,
ცელქობაში აწყვეტია საღამურზე ღილი,
აი, უკვე გაილვიძა, ნთქავს ბანანს და ხინკლებს,
მერე დარბის, დახტის, ხოხავს და მთელ ოჯახს იკლებს!
იით სკამებს ახრიგინებს, გააქვს ბრაგი-ბრუგი,
ვერ დაითვლი, სახლს დაარტყა მერამდენე „კრუგი".
იქ ხელიდან ცოცხსა გვტაცებს, აქეთ ჩაის ტილოს,
დაამსხვრიოს ჭიქაც ,თეფშიც, ოღონდ არ იტიროს!
თვეები კი გადის ნელა, უკვე დღეებს ვითვლი,
და მძიმდება მისი გაზრდის სანეტარო ტვირთიც!
საათია ვანანავებ ჩემს პატარა ტირანს,
ვაი, დღესაც ვერ მივუსწარ სერიალში მირანს!
დამირღვია მოსვენება და პირადი სივრცეც,
ვინა ჩივის, მზად ვარ ჩემი ხორციც, სუნთქვაც მივცე!
რა მზის სხივად მოუსწარი, სულს ზამთრისგან დამზრალს,
შენ იქეცი ჩემი ყოფის და სიცოცხლის აზრად!
ვინც პაწიას გაზრდა-აღზრდის ყულფში კისერს გაპყოფს,
ელოდება კიდეც შრომის და წვალების ნაყოფს!
მინდა მალე გაიზარდო (თუმცა ნელში ვწყდები)-
თავზე მინდა შემოგავლო დარჩენილი ნლები!
მერე, როცა არ ვიქნები, როცა სულში მოთოვს,
მსურს თვალები დამიხუჭოს თათუნებმა თოთომ!
მანამ უნდა გაიზარდო, ნერგი შეიფოთლო,
შენი ტრფობით გულისნორის სული შეაშფოთო,
შენც ნაყოფით დაიხუნძლო, მამულს გამოადგე,
საქართველოს სასახელო ქალთა გვერდით დადგე!

P.S. უკვე ძილიც მეპარება, სარკმელს მოდგა მთვარე,
ყველაფერი მთავრდება და მეც აქ დავამთავრე!

დედას

თავისუფლად ვამბობთ - დედა
ტკივილს რომ გადაურჩე,
მერე რა რომ დაგვიბერდა
მერე რა რომ დარდს უჩენთ.
გახსოვს ალბათ როგორ არა,
ტკბილზე-ტკბილი ალერსი,
გეფერება, ამბობს - ნანა
გაზაფხულის ხმა გესმის.
სიცოცხლე და სიყვარული
ერთად იღებს სათავეს,
ანთებული დედის გული
რამდენ დარდს დაატარებს.
სად ალერსად ქცეულ სიოს,
თითქოს ცივა აერჭოლებს,
დედის გული გააციოს?
დარდს არ გააბატონებს.
და თუ შორს- შორს
გავფრინდებით,
დედა თვალს არ გვაშორებს,
რომ იმედის განდიდებით
ერთმანეთს არ დავშორდეთ.

დავით ჩირგაძე

ქუთაისი მაინც სულ თან მახლდა!

ჯერ კიდევ პატარამ მოსინჯა კალამი და კარგადაც გამოუვიდა. მერე ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე, მეოთხე,... და ახლა, შეიძლება ვთქვათ, რომ ლია კუჭავა შემდგარი პოეტია, თავისი უმშვენიერესი სამყაროთი და ფერადოვანი შემოქმედებით. ლია საქართველოში არაა, ამიტომ ბოლო ხანს დაწერილ ლექსებში უსაშველო ნოსტალგიაა, ეხატება მშობლიური კუთხე, საყარდო და სამაისო ქუთაისი, პატარა ჯიხაიში, საშეგობრო, საშემოძლო, ოჯახი... და ამ გაუსაძლის მონატრებაში აკინძავს მარცვალ-მარცვალ, სტრიქონ-სტრიქონ, კუპლეტ-კუპლეტ... ულამაზესი ლექსები. დიდი ხანია წერს-თქო, ჩემოთ ვთქვი, მაგრამ გამოქვეყნება ან გაბაირება არ უფიქრია. ისე წერდა, გულს აბარებდა, სულს ეფერებოდა,... მეგობრებს უკითხავდა...

და დღეს გადაწყვიტა ინტერნეტ-სივრცით საზეიმოზე გამოეტანა მისი ლამაზი ლექსები.

ჩემო ლია, სიყვარულით წაიკითხე შენი „ნახელავი", მოგიხიბლე და მინდა ჩვენი მკითხველიც გავხადო შენი პოეზიის თაყვანისმცემელი. მადლობა მინდა გუთხრა თეონა აბზიანიძეს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა შენ დავკავშირებოდი და როგორც გავიგე შენი ძვირი ლექსის მუზაც თეონ არაჩვეულებრივი ნახატებია... მხარეებს თქვენი წარმატებანი, მეამაყებით ძვირფასენო.

ყველაფერი დალაგდება. უფლის წყალობით სიმშვიდე დაისადგურებს, ღიმილი დაგვიბრუნდება და სიხარულს, სიყვარულს, ძვირფასი ერებას,... გამოუჩენლად კვლავ ერთმანეთს. ოჯახებში ოჯახური სითბო დაბრუნდება, ალარ აუწყებიან მონატრებაში ლამენთავი, ფიქრებით გულდამძიმებული დედები, ალარ მიწერაყს გულს ნოსტალგია,... საყვარელი ამოერდება, საყვარელი გამთლიანდება, აყვავდება,... ჩვენი ერი ღირსებისა და საამაყოს, ქართველობის გვირგვინს კვლავ დაიდგამს და რწმენით, შრომით, მარცალი სიტყვით გაიკლის გზას თავისუფლებისაკენ... ლია, ჩემო ღირსეულო ქართველო, დაბრუნდები შენს ქუთაისში, მიეფერები შენს უნივერსიტეტს, სადაც სიტყვის, ქართული სიტყვის, ლამარეს ენის სიდიადეს ეზიარე,... ინახულებ ბებერ რიონს, იქვე ჩამოჯდები და ცრემლმორეული ახალ ლექსს მიუძღვნი. და გაგრძელდება შენი ცხოვრება აქ, ჩვენთან ერთად, ჩვენს შორის და ოჯახთან ერთად (ნოსტალგიის გარეშე!).

ძვირფასო მკითხველო, ემიგრანტები ჩვენი გამეთის ხშირი სტუმრები არიან. ისინი გვწერენ, ითხოვენ გაგეთის ნომრებს,... უფერადოდ არ ვტოვებთ არასოდეს. ლიაც ერთ-ერთი ემიგრანტთაგანია, რომელიც მალე შეიცვლის ამ სტატუსს და მისი პოეზია ისეთივე ფერადოვანი გახდება, როგორიც თვითონ არის - მხიარული, გაციცკროვნებული თვალებით, კისკისა, ერთგული, მოსიბიბლული, თბილი, ტკბილი, ჩასაბუტებელი, ქუთაისური იუმორიათ და ჯიბაიური შარმით,...

მწვანე შუქი ანთია ლია კუჭავას პოეზიას. მას საამოსალოდ ბევრი კარგი ჩანფიქრი აქვს. წარმატებები ფეხერეთი ქართველ ქალს ეგბო მიწაზე რომ უდგას ფეხი და გული ყოველთვის ქართულად უცემს, ბედს თუ უბედობამ, სად არ ატარა, მაგრამ ქუთაისი თან ახლდა ყოველთვის და მონატრებული საამშობლოს მზეს ფიცულობდა...

მარა ფიქრიშვილი

ქუთაისი მაინც სულ თან მახლდა!

მეშინია, სიყვარულში შემეცილო
თეთრი ქვებით
მოთამაშე რიონთან,
ვერ გიბედავ პაემანი დაგინიშნო,
წითელ ხიდთან
რომ დგას გალაკტიონთან ...
ქრონიკასთან თუთა სე გაიბადრა,
ლამის არის შემომეჭრას სახლში,
გოჭოურას მხარნაცვალი
ოღასკურა,
დინოზავრის ნაკვალევსაც
წაშლის.
ცაცხვებიდან გორას
სურნელს მოვიპარავ,
საფეხურებს ასკინკილით დავთვლი,
ბალახვანში ისეთ ჰაერს
ჩავისუნთქავ,
ბიკენტიას ქაბაბშიც არ გავცვლი.
საფიჩხიის აღმართ
მღერით შევუყვები,
ქუდს მოვიხდი
მიზანდარის სახლთან,
ქალაქები უამრავი მომივლია,
ქუთაისი მაინც სულ თან მახლდა!
მეშინია, სიყვარულში შემეცილო,
მოწამეთის ფერგაცრეცილ ხატის,
ნინოშვილის ფართე
ქუჩის ბულბული ვარ,
ამ ქუჩაზე სიყვარული დადის.
განჯის კარი გელათს ბეჭით ავიტანე,
მერე გულზრ დავიდევი ჩემით,
შენ სავარდოს
გეძახიან ქუთაისო,
რა იციან, გვირილაც რომ გშვენის!
გამეჯიბრე, თუკი გიყვარს
ჩემზე მეტად,
ჩემზე უკეთ თუ შეგაქებს ვინმე,
რა გამიხდა,
ერთი ლექსი დაგინერო,
ქუთაისო -
საშენოდ რომ ღირდეს.

მას ევრიპიდემ დასწამა ცილი

შენი ათენა ტროას ომში ბერძნებს მიეშველა,
აქაც ქალური პობოქრობდა შური და ღვარძლი.
რა ცოდვიანი სახელი აქვს დასაბამიდან,
რადგან მიზეზად დასახელდა ისევე ვაშლი.
შენი ათენა პოსეიდონს მოუგებს დავას,
ზეთისხილის რტო მანტიაზე დაიდებს ბინას.
აქეთ ადიდეთ, მაგრამ ჩემსას აძაგებთ რატომ?!
არვის ეგონოს კოლხ მეფეთა აჩრდილებს სძინავთ.
შენი ათენა არგონავტებს კიჩოზე უზის,
ჩემი მედეა სიყვარულით იბრმავებს თვალებს
და არგოს მიაქვს ოქროს ტყავი დაფარულ ცოდნის,
მშიშარებივით ენდობიან ბერძნები ღამეს.
ჩემი მედეა მოღალატეს არ ემონება!
ისტორიაში ევრიპიდემ დასწამა ცილი.
კოლხმა ასულმა უპასუხოდ რომ არ დაგტოვათ,
კორინთოს ტყეში დაუხოცეთ სამივე შვილი ...
შენი ათენა პართენონას ამშვენებს ახლა,
ჩემი მედეა სიყვარულის სიბრმავეს ებრძვის.
ზეთისხილის რტომ იყვავილოს ბერძნებო თქვენთვის,
მე დავიბრუნე მოპარული ის ოქროს ვერძი.

ნუ მომატყუებ

ნუ მომატყუებ, რომ წუხელის სიზმარში მნახე,
ნურც იმას შეტყვი,
ცხადშიც ყველგან ჩემი გსდევს სახე,
სიტყვებს ფრთიანებს ტყუილებად ნუ აფრიალებ.
დააგვიანე - უსაშველოდ დააგვიანე ...
ნუ მომატყუებ, რომ გვირილამ თანხმობა გითხრა,
ტირიფმა თავი ჩამოიხრჩო ცრემლების თოკზე.
მთვარე გაჩერდა გაუქმებულ გაჩერებასთან,
ახალა არცერთი ავტობუსი არ გადის დროზე.
დააგვიანე, უსაშველოდ დააგვიანე,
ნაპირებს გასცდა თეთრი გემი, თეთრი თოლიაც.
მთელი ცხოვრება ფუფალა ვარ შეყვარებული,
ჩემი შიოლა შენ იყავი ასე მგონია ...
ნუ მომატყუებ, რომ წუხელი სიზმარში მნახე,
რომ წეროები თბილ ქვეყნებში წაგიყვანია.
წლებია ასე შენს არ მოსვლას
ვამართლებ სიტყვით,
კიდევ კარგი, რომ თებერვალი ნაკიანია!

P.S. ამ დღეებში დაიბეჭდა ლია კუჭავას ლექსების კრებული „უ-რითმობის ა-რითმია", რომელიც გაფორმებულია უნიჭიერესი და უმშვენიერესი თეონა აბზიანიძის ნახატებით. ვულოცავთ ახალგაზრდა პოეტს სულში მოვარდნილი მუზით თავისი ლამაზი შინაგანი სამყაროს ლექსად გამობრწყინებას. ეს ერთი და სხვა მრავალი ...

ლანა ფცანტირაძე

წვიმს...

წვიმს და ქუჩებში მარტო დავდივარ,
დავდივარ როგორც მკვდარი სხეული,
სულმაც დამტოვა და შორს გაფრინდა
ცას წვდება ახლა ჩემი ტკივილი.
აქ ყველაფერი ფერფლად ქცეულა,
მინას სდის მლაშე ცოდვის სურნელი
მე დღეს იმედმაც მარტო დამტოვა
წამართვა სიცოცხლის ენება, სურვილი..
მოდი უფალო გადამარჩინე
მახრჩობს მე სევდა განუკურნელი
მუხლმოდრეკილი მხოლოდ ამას გთხოვ
ჩემში რომ მოკლა ცოდვის წყურვილი.

დემეტრეს

მე სხეულში ჩამისახლდა
პაწაწინა სიყვარული
შვილო შენმა გულისცემამ
დაამშვიდა ჩემი სული.
ვერ აგიღწერ რას ვგრძნობ ახლა
მოლოდინით ფეთქავს გული..
მალე შენი დაბადებით
ცას მივწვდები სიხარულით.

ისევ სევდა, ისევ მთვარე

ისევ სევდა, ისევ მთვარე
და ღრუბლები მოელვარე
ახლა ისე მენატრები
უშენობა შემშლის მალე.
მენატრება გაზაფხული
ვარსკვლავებით სავსე ღამე
იცი ჩვენმა სიყვარულმა
აამღერა ცაზე მთვარე.
ისევ შენ და ისევ ღამე
მოდი ჩემთან გამახარე
მონატრების ძლიერ წუხილს
ქარს გავატან
როგორც ნამქერს.

შენ აქ ხარ ... ჩვენთან !

ყველგან ვგრძნობთ, ქეთი, შენს არსებობას. იმიტომ რომ ვერ წარმოგვიდგენია უშენობა. შევალებთ რედაქციის კარს და უჩვეულო სიჩუმეში სურათიდან მოგვეგებები. მერე შენს მაგიდასთან დავჯდებით, გესაუბრებით, მოგეფერებით, ამასობაში სანთელი იწვის. ისაა ახლა ჩვენს შორის შუამავალი... ასე გაიარა, მოგონებებსა და მონატრებაში, ერთმა წელმა, ცრემლით სავსე ერთმა წელმა.

თებერვალი იდგა. გაიმედებდით, მალე გაზაფხული მოვა და ტკივილებიც გაივლისთქო. თურმე, გზასავალს სხვას დაადექი. უფალს მიეახლე ჩემო ქეთი. სამუდამო განსასვენებელი ძვირფასი მშობლების გვერდით მოიწყვე. აღარ შეაწუხე მეტად შენი ტკბილი ოჯახი. სიმშვიდე პპოვოს შენმა სულმა ჩვენო დიდი ტკივილო ...

მაია ფეიქრიშვილი

ამაგდარი პედაგოგი

ყველა ადამიანს პყავს მასწავლებელი, რომელიც ხშირად სულის სიმებსაც კი ეხება სათუთად და მთელი გულით ქარგავს შენი ცხოვრების ლამაზ ზღაპარს...

იგი ყოველთვის მშვიდი, გაწონასწორებული, მომღიმარი სახითა და ჩვეული სიდარბაისლით გამოირჩეოდა სხვათაგან. ბევრის სიყვარულს იტევდა მისი გული. რამდენგზის გამკვირვებია, მზია მასწავლებელი როგორ ახერხებს ყველასთან ერთნაირად ტკბილი, მოსიყვარულე იყოს-თქო. პენიანი და ელეგანტური,მოწესრიგებული და მომღიმარი – ასეთი იყო **ქ-ნი მზია პაპავა,** რომელმაც ათეული წლები ილვაწა მეორე საშუალო სკოლაში, აღზარდა თაობები, პქონდა ბევრი ნარმატება, იყო ბრნყინვალე ფილოლოგი, არაჩვეულებრივი კოლეგა, დამრიგებელი და რაც მთავარია, იყო იშვიათი ადამიანი. ამიტომაც დაენანა პედკოლექტივს, მეგობრებს, ახლობლებს,მოწაფეებსა და ნამოწაფართ, ყველას, ვინც იცნობდა.

მოკრძალებითა და პატივისცემით, სიყვარულითა და დანანებით გააცილეს მზია მასწავლებელი საუფლოსკენ. იგი 77 წლის ამ დღეებში გახდა. იმედით შესული საოპერაციოდ, სამწუხაროდ გარდაიცვალა. გული გაუჩერდა, სიკეთითა და სიყვარულით სავსე გული,ჩვენს ძვირფას მასწავლებელს... მშვიდად განისვენეთ კეთილშობილო ქალბატონო, ჩემო უფროსო მეგობარო. შენი ირმა და ირაკლი სათუთად შეინახავენ ძვირფასი მშობლების ხსოვნას.

... სამწუხაროა, რომ კიდევ ერთი ამაგდარი პედაგოგი **მზია პაპავა** შეუერთდა გარდაცვლილთა გუნდს, სულთათანა თქვენს სულებს.

ნამოწაფართა სახელით
მაია ფეიქრიშვილი

მშვიდად განისვენეთ

თამილა ჯალაღანიას მოგონება

ჩემო თამილა, ჯერ კიდევ ვერ გავიაზრეთ კლასელებმა შენი გარდაცვალება. როგორ გვიმძიმს წარსულში შენზე საუბარი.

ვიგონებთ, მოსწავლეობის, ჩვენი დაუვიწყარი ბავშვობის ლამაზ წლებს და გული გვწყდება, რომ ასე ჩუმად, შენს სატკივართან ერთად, გაგვეპარე, გაგვეცალე და დედის კალთას მიაშურე. დედამ დაგიამოს, ჩემო თამილა, ტკივილები, მოგეფეროს, გულში ჩაგიკრას, უმშვენიერეს გოგონას, ისე, როგორც ბავშვობაში ჩაგიწნას ლამაზი თმები... ეპ, ჩემო ძვირფასო, შენ გზამართალს დაადექი, აქეთ კი დატოვე გაუბედურებული მამა, რომელიც ყოველდღე სიცოცხლისათვის იბრძვის. რა პქნან შენმა და - ძმამ, საშველი შენც ვერ გაგიჩინეს...

როგორ გვენანება, თამუ, შენი გამოკეტილი პატარა, თბილი ბუდე, სამარისებული სიჩუმე რომ გამეფებულა და... და შენ გელოდება. სურათებიდან თვალს ავლებ, ალბათ, შენს ნაკონინებ მყუდრო ბინას...

რამდენი ჩანაფიქრი გქონდა, სიცოცხლეს შეხაროდი და ერთი წუთითაც არ დაგიშვია, რომ უბედურება გიახლოვდებოდა...

ჩემო თამილა, შენი გოგოები, მეგობრები, ახლობლები, თანაკლასელები, შენი მეორესკოლელები არასოდეს დაგივიწყებთ არც შენ და არც სხვებს - ნაადრევად იმიერში გადასახლებულ ჩვენს ნატოს, ირაკლის, ზალიკოს, რამაზის, თქვენი ხსოვნა უკვდავია, რადგან თავად დაიდგით უკვდავების გვირგვინი ნაადრევად...

მშვიდად განისვენეთ ულამაზეს სოფელში, სადაც ერ\თ დროს ყველანი ერთად შევიყრებით.

კლასელების სახელით
მაია ფეიქრიშვილი

ჩემო დედა!

4 წელი გავიდა, ჩემო დედა, შენზე ფიქრსა და მონატრებაში. როგორ გვაკლიხარ, როგორ გვიმძიმს მე და დეიდას უშენობა. მართლაც, რომ ულმობელია წუთისოფელი.

დედა- შვილი არ უნდა დაცილდეს ასე ნაადრევად ერთმანეთს. ჩვენ ხომ დიდი მეგობრებიც ვიყავით... ჩემო დედა, ყველაფერს, ჯერ კიდევ, შენი სურნელი ასდის, გელოდებით, ვერ ვეგუებით უშენობას...

უფალმა დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს სასუფეველი.

ლილიკო

მიშიკო ბაბუნაშვილის გახსენება

მარტის თვე დადგა მიშიკო. ირგვლივ გაზაფხულის სურნელი ტრიალებს, დიდს თუ პატარას საშრომად ინვევს. ჩემთვის კი ამ თვეს სიხალისე დაუკარგავს, თალხი ჩაუცვამს და თითქოს თვალს ვერ მისნორებსო. სნორედ 20 წლის წინ 4 მარტს დამატყდა თავს საშინელება,ყველასათვის თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი ტრაგიკული აღსასრული, საკუთარი ტრაქტორის მსხვერპლი გახდი. მარტმა წამართვა შენი თავი და ასე ნაადრევად , 56 წლის ასაკში წაგიყვანა სამუდამო განსასვენებელში.

20 წელია შენეული ფუსფუსი, სიმხიარულე აღარ ისმის შენს ეზო-გარემოში, ჩვენს გულებში კი მწუხარებამ დაისადგურა. ყველასათვის საყვარელი, პატიოსანი და ნესიერი კაცი იყავი, მშრომელი, ალალი და გულმართალი, ოჯახზე მზრუნველი, არა მარტო ოჯახზე, ყველას ეხმარებოდი და გვერდით ედექი.ბევრს შრომობდი, წვალობდი, სიკეთეს თესავდი და პატივისცემა და დაფასებასაც იმკიდი. ახლაც უადვილებს ცხოვრებას შენგან გაკეთებული კეთილი საქმეები შენს ცოლ-შვილს. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ თბილად და ტკბილად გიგონებენ ნაცნობ-მეგობრები.

დღეები შენი უსაზღვრო მონატრებით გადის. ხშირად დავდივარ შენს საფლავზე, ბევრს გესაუბრები და ბევრ ცრემლსაც ვლვრი, შენი დაკარგვით გამონვეული ტკივილი მარადიული და გაუყუჩებელია. უსაზღვროდ გვენატრები, ენატრები შენს შვილებს- ფატიმას, ფერიდეს, მაიკოს, მაიკო გაბედნიერდა, ვიცი ძალიან გაგიხარდებოდა. უკვე დიდი ვაჟკაცია შენს ხელში დაბადებული შენი მოსახელე შვილიშვილი მიშიკო,გადმოცემით იცვიან ბაბუის შესახებ ბექამ, მედომ,პატარა ანასტასიამ.

ენატრები და შენს ხსოვნას წმინდად ინახავენ შენი და -ძმა, სიძეები, სამეზობლო-სანათესაო. კაცური კაცის სახელით იცხოვრე და ასეთად დარჩები მარად.

შენს სახელს იფიცებენ შენი შვილები, ამაყობენ შენი ვაჟკაცურად განვლილი ცხოვრებით, იციან კარგი მამა პყავდათ და თავიანთი ქცევით მუდამ გაუფრთხილდებიან შენს სახელს და ჯეროვნად პატივს მიაგებენ.

ვლოცულობთ შენთვის, შენ კი მაქედან ილოცე ჩვენთვის. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

მეუღლე ნუნუ სურმავა-ბაბუნაშვილი

ჩვენს გულში ყოველთვის იცოცხლებ...

ომარი ჩიხლაძის მოგონება

კეთილი, უანგარო და უბოროტო ადამიანები მიდიან ამ ქვეყნიდან და გარდასახლდებიან იმიერში. მათთვის დედამიწა ჩერდება და სამუდამო საკანეს საუფლოში იდებენ... მიდიან, მიდიან იქ, საიდანაც დაბრუნება შეუძლებელია, თუმცა მათი სული ზემოდან დაგვყურებს და ნათელ კვალს ტოვებს ჩვენს ცხოვრებაში. სნორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ჩემი ომარი ბიძია, რომელმაც უდიდესი ტკივილი და დარდი დაგვიტოვა გულში...

ომარი ბიძია, ჩემო კეთილო, უბოროტო, სტუმართმოყვარე და მოსიყვარულე ადამიანო, წახვედი და ყველა ჩვენგანს დაგვაკლდი ძალიან. დაგვაკლდება შენი მუდამ მომღიმარი და თბილი შეხვედრა, შენ ხომ ყოველთვის გიხაროდა ჩემი და ჩემი ოჯახის სტუმრობა. ყველას მოტრფიალე და მოამაგე ადამიანი იყავი...ბევრი იბრძოლე სიცოცხლისთვის, \თუმცა ამაოდ...მენანები ომარი ბიძია ასეთი სასტიკი სიკვდილისთვის და ცივი მიწისათვის, მაგრამ რას ვიზამთ, ესაა ადამიანთა საბოლოო ხვედრი. ადრე თუ გვიან ყველა წავალთ იმ დიდ სოფელში, რასაც უფლის თავშესაფერი და ზეციური საქართველო პქვია...

სულთათანა შენს სულს ომარი ბიძია, განისვენე ტკბილად სადაც მართალნი განისვენებენ. შენს სახელზე დანთებული სანთელი გინათებდეს სამუდამო სამყოფელს. ომარი ჩიხლაძის სულს ნათელი დაადგეს, მისი ხსოვნა კი მარადიული იქნება ჩვენს გულში...

მერიკო ბიცოლა, კობა, ნუგზარი, ზიტა, სოფიკო ვიზიარებ თქვენს უდიდეს მწუხარებას.

სალომე კალატოზი
ოჯახით

დავით კალატოზი ოჯახით თანაუგრძნობს გულადი ჩიხლაძეს, მაყვალა ფანცხავას, ნონა, ირაკლი ჩიხლაძეებს ძმის, მაზლისა და ბიძის

ომარი არძიფოს ძე ჩიხლაძის

გარდაცვალების გამო.

დავით კალატოზი ოჯახით დიდი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებს მერი გორდეზიანს, კობა, ნუგზარი ჩიხლაძეებს, ზიტა ენდელაძესა და სოფო ფალავას მეუღლის, მამისა და მამამთილის

ომარი არძიფოს ძე ჩიხლაძის

გარდაცვალების გამო.

გორდის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი თანაუგრძნობენ ირმა ჩიქოვანს და ვალიკო ბობოხიძეს დედამთილისა და დედის

ანიკო სულაბერიძე-ბოგოხიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ხონის" რედაქცია თანაუგრძნობს თეა კაკაბაძესა გოგა ბაბუნაშვილს დედისა და სიდედრის

ფოთოლა ლელაძე-ქაქაბაძის

გარდაცვალების გამო

ქუტირის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობენ პედაგოგ მარიამ შალამბერიძეს ბებიის

ლეილა ფანცულაიას

გარდაცვალების გამო.

ქუტირის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და დამრიგებელი ნანა შალამბერიძე თანაუგრძნობენ ამავე კლასის მოსწავლეს გიორგი ბზიკაძეს ბებიის

მაცაცო ტერელაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
მაია ფეიქრიშვილი
ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია
ნუნუ ფანცულაია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლია ჩიხლაძე
(კორესპონდენტი)

აიმ საინფორმაციო ცენტრი „ხონი"
დირექტორი ქეთევან ბახტაძე
რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
რეგისტრაციის ნომერი B15078094.
ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი:
ბოლიკარპე კაკაბაძის ქ. №15,
საკრებულოს შენობა,
II სართული.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხონელი 36"-ში
დიზაინერი თეა პაპაბაძე
ოპერატორი სალომე პალატოზი
ქუთაისი, იელია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 22-37-11, 22-34-99.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ
ფასი 50 თეთრი